ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7227923

ნომერი: AR11047691

თარიღი : 27.08.2024

გაცემის თარიღი : 24.09.2024

გაცნობის თარიღი : 24.09.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიროსმანი , N 36 ; ქალაქი თბილისი , ნიკო ფიროსმანის ქუჩა N40/კონსტიტუციის ქუჩა N23,;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი ხოსრუაშვილი პ/ნ 01019058137
- თბილისი დიდი ჯიხაიშის I შეს. N 18

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 6875148
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 9.02.2024

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამი ხოსრუაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "კატევე დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405172977
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი ბოჭორიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018003006

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1478.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1041.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5482.3
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 784.6
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1677.4
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 672.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 127.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 569.9
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 437.1
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 80.3
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1133.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 21799.83
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 15371.94
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 6427.89
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 21.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 14.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 7.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : დადგენილი კ1-0.7 . საპროექტო 1041.1 კვ.მ. კ1-0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : დადგენილი კ2-4.6 . საპროექტო 4238.5 კვ.მ. კ2-2.9
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : დადგენილი კ3-0.2 . საპროექტო 311.2 კვ.მ. კ3-0.2

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- გაცნობებთ, რომ სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებოსიტუაციების მართვის სამსახურში. უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გეცნობებათ დამატებით შეტყობინების სახით.

1. გენგეგმაზე მითითებულ იქნას ნიშნულები შენობისა და ნაკვეთის ყველა კუთხეში;
2. წარმოდგენილ იქნას GWP -ის თანხმობა მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელ საპროექტო სამუშაოებთან

დაკავშირებით;

3. განმარტებულ იქნას უკანა ეზოს ნაწილში გათვალისწინებულია თუ არა საყრდენი კედლების მოწყობა. იმ შემთხვევაში თუ ეწყობა საყრდენი კედლები, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისი გრაფიკული დოკუმენტაცია;

4. წარმოდგენილ იქნას საპროექტო შენობის ფუნქციათა პროცენტული გაანგარიშება. გათვალისწინებულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების 2016 წლის 24 მაისის 14-39 დადგენილების მე-4 მუხლი, პუნქტი ჟ) მრავალფუნქციური შენობა — ორი ან მეტი ფუნქციის მქონე შენობა, სადაც რომელიმე ძირითადი ფუნქცია არ აღემატება შენობის საერთო ფართობის 75 %-ს;

5. წარმოსადგენია "შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №354 დადგენილების შესაბამისად https://geecb.ge/index.php/ka/ - საიტის მეშვეობით, მომზადებული ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნების დეკლარაცია.

6. წარმოდგენილ იქნეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან A ტიპის აკრედიტირებული საექსპერტო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის შესახებ როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის პერიოდში. "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლით განსაზღვრულია ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი (ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით), სადაც აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის, იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას. შესაბამისად, საჭიროა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევაში განხილულ იქნას საპროექტო ობიექტის 50 მეტრის რადიუსში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზეგავლენა.

7. წარმოდგენილ იქნეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან A ტიპის აკრედიტირებული საექსპერტო ორგანოს მიერ მომზადებული ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება.

8. წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული სქემა/პროექტი.განმარტება: საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული სქემა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილისაგან, სადაც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომები; საძირკვლის, გადახურვის და ვერტიკალური ელემენტების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები) ტიპი; შენობა-ნაგებობის სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და დეფორმაციაზე გაანგარიშების საწყისი მონაცემები (მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სიხისტეები, სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები), სივრცითი ანგარიშისათვის გამოყენებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის დასახელება და გაანგარიშებათა შედეგები (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამისი და ამავე კონსტრუქციულ სქემაში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის/რეგლამენტების მოთხოვნებს. ხოლო, კონსტრუქციული პროექტი უნდა მოიცავდეს კონსტრუქციული სქემით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას დაზუსტებული, დაკონკრეტებული სახით და იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისთვის ამომწურავ ინფორმაციას. კონსტრუქციული პროექტი დამატებით უნდა მოიცავდეს:

ა) ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);

ბ) ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;

გ) კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას.

ასევე, წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული სქემა/პროექტის საექსპერტო შეფასება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის შესაბამისად.

9. წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევა;

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშში მინიმუმ უნდა აისახოს:

ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;

ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;

გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელებისდოკუმენტებისთვის.

წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის საექსპერტო შეფასება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის შესაბამისად.

10. წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელგაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები, მათი დეტალური ნახაზები და სპეციფიკაციები;

11. წარმოდგენილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტრანსპორტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით. განგიმარტავთ, რომ ms.gov.ge-ზე დაემატა „საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორია და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებისთვის უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და განცხადება დაარეგისტრირით ms.gov.ge-ზე („საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორიაში). ხოლო, სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა უნდა შეათანხმოთ ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.

12. წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის შემსრულებელი სპეციალისტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევითი სამუშაოების განხორციელების გამოცდილება. დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს ინფორმაცია გამოქვეყნებული კვლევითი პუბლიკაცი(ებ)ის შესახებ. წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაში მოცემულ მნიშვნელოვანი ხედის ფოტოებზე დამუშავებული ფოტომონტაჟები, ამავე კვლევაში განსაზღვრული აღქმის განსაკუთრებულად ხელსაყრელი წერტილებიდან.

13. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: - ჭრილზე მითითებულ იქნას კონსტრუქციის ყველაზე დაბალი ნიშნული და ველი სივსოს შესაბამისად;

14. .შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: - გეგმებზე ასახულ იქნას გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი;

- გეგმებზე ასახულ იქნას გასასვლელებს შორის მანძილები, რომელიც უნდა განისაზღვროს დიაგონალის მეშვეობით;
- მიჯნის ზონის მხარეს საზაფხულო ფართებსა და ღიობებს მიეთითოს საკადასტროსთან მიბმის მანძილები. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას სამეზობლო მიჯნა და „3'-6“ და " მ'-კ"ფასადის მხარეს ღიობების განთავსებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნას გაანგარიშება “ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მუხლი 30, პუნქტი 15 - ის შესაბამისად;
- ჭრილის მანიშნებლები გარკვევით იქნას ასახული გეგმაზე;
- წარმოდგენილ იქნას კიბის უჯრედის, ლიფტის შახტის ცალკე დამუშავებული კვანძები და დეტალები;
- კონსოლურად გადმოწეულ საზაფხულო ფართებს მიეთითოს საკადასტროდან გადაცდომის ზომები;
- გეგმებზე ცალკე ექსპლიკაციის სახით იქნას გამოტანილი სართულზე არსებული ფუნქციების მიხედვით ფართები და აღნიშნული ფართების შესაბამისად იქნას შევსებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის ველები;

15. .შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: - ცალკე იქნას გამოტანილი პანდუსის ნახაზის ფრაგმენტი და პროცენტულობის გაანგარიშება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- პანდუსზე ნიშნულები იქნას დატანილი ტეხვის წერტილებში;
- ჭრილებზე ასახულ იქნას გრუნტი. აღნიშნული ასევე იქნას ასახული გეგმაზე;

16. .შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: - წარმოდგენილ იქნას არქიტექტურული ელემენტების (კარ-ფანჯრები, ჟალუზები და სხვ.), დეტალების (გაფორმების ელემენტები, ნაკეთობები და ა.შ.) და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია. ასევე ყველა ღიობისა და არქიტექტურული დეტალების ზომები.
- ფოტომოტნაჟის ველში ატვირთული 2 სხვადასხვა ვიზუალიდან დაზუსტდეს ერთი და ფასადებიც დამუშავდეს შესაბამისად;

17. .შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: - უკანა ეზოს მხარეს ეზოს ნიშნულის 3 მეტრით ცვლილება არ არის მისაღები. შესწორდეს აღნიშნული და შესაბამისად იქნას წარმოდგენილი განახლებული სიმაღლის განსაზღვრის სქემა.

- “ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 31-ე მუხლის, პუნქტი (7) - ის შესაბამისად იქნას დამუსავებული სიმაღლის განსაზღვრის სქემა

7. თუ მიწის ნაკვეთს ერთზე მეტი მხრიდან ესაზღვრება ერთმანეთის გადამკვეთი ქუჩა ან/და სხვა საზოგადოებრივი სივრცე, განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი დგინდება უფრო განიერი ქუჩის ან საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან. სიმაღლის ეს მაჩვენებელი აგრეთვე ვრცელდება უფრო ვიწრო ქუჩაზე განთავსებული შენობის საანგარიშო ზედაპირის (ფასადის) იმ ნაწილზეც, რომელიც არ აღემატება უფრო განიერ ქუჩაზე გამავალ საანგარიშო ზედაპირის (ფასადის) სიგრძეს, მაგრამ არა უმეტეს 20 მეტრისა. უფრო ვიწრო ქუჩაზე განთავსებული საანგარიშო ზედაპირის (ფასადის) დანარჩენ ნაწილზე განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი დგინდება მისი მოსაზღვრე ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან.
წარმოდგენილ იქნას შესაბამისად დამუსავებული გრაფიკული დოკუმენტაცია.

18. .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი

(ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : - წარმოდგენილ ფაილში ასახულია ორი სხვადასხვა ვიზუალის მქონე შენობა. საჭიროა წარმოდგენილ იქნას მხოლოდ ერთი პროექტის შესაბამისი მონტაჟი და ასევე არნიშნულის სესაბამისად იქნას დამუშავებული გრაფიკული დოკუემნტაცია (გეგმა,ჭრილი, ფასადი);

19. .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : - ვექტორულ ფაილში წარმოდგენილ იქნას განაშენიანების კროკები.

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-5 მუხლის 15-ე პუნქტის შესაბამისად სართულის განაშენიანების ფართობი განისაზღვრება სართულის გეგმის გარე კონტურში მოქცეული ფართობით, აივნებისა და ტერასების ფართობების ჩათვლით. შესაბამისად ვექტორულ ფაილში გეგმების გვერდით წარმოდგენილ იქნას ყველა სართულის განაშენიანების ფართობის საანგარიშო კროკები შესაბამისი ექსპლიკაციით. შენობა ნაგებობის კლასის განმსაზღვრელი ყველა მახასიათებელი შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დანართ №1 - ში

- გამწვანების კოეფიციენტის კ3 გაანაგრიშებისას გათვალისწინებულ იქნას რომ კონსოლურმა საპროექტო მოცულობებმა არ უნდა გადაფაროს კოეფიციენტის საანგარიშო სივრცე;

20. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: - დაზუსტდეს კონსტრუქციის ტიპი და ურთიერთშესაბამისობაში იქნას მოყვანილი ერთმანეთთან ცხრილებში გაწერილი და საექსპერტო დასკვნაში განამრტებული ინფორმაცია;

- განხილულ იქნას გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილის შეფასება;

- ვინაიდან საპროექტო შენობის კიბის უჯრედიდად საზოგადოებრივ სივრცეში არ ხდება პირდაპირი კავშირი საჭიროა საექსპერტო დასკვნაში გაიწეროს აღნიშნულთან დაკავშირებით;

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.